# დროება

№ 6 კვირა, 28 თებერვალი 1910 წ. № 46

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხ) ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებთა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უ—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითქმის საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღ საათის შემდეგ მეტი ედირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათა, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საერთო ხაზლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაა 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირს მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოვის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვაქის ქ. № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## უდიდესი იაფობა

### იხილეთ მე-4 გვერდზე

## სოლოლაკში

აზოვის განკის ქვეშ, „პროვოდნიკის" ამხ.-ბის გვერდზე,

## ივ. გრ. კაჭკაჭევის

ახალ სამანუფაქტურო მაღაზიაში

მოვიდა ახალი ტრანსპორტი საქონლისა. რადგან ფირმას არა სურს დარჩეს ძველი საქონელი და რადგან უნდა, რომ მუშტარს მიაწოდოს ახალი სურათებიანი საქონელი, სეზონისთვის დაინიშნა

## იაფობა

მხოლოდ ექვსი დღით

1, 2, 3, 4, 5, და 6 მარტს

აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს და ბამბაზიის ქსოვილი და აგრეთვე საბნები, ზეწრები, იუბკები, წინსაფარები, ხელსახოცები, შარვლები და მრავალი სხვა საქონელი მართლა იაფ ფასად.

შევაჭრება არ შეიძლება.

იაფობა

(5—გაჟ.—1)

სეზონის დამთავრება

წარმოდგენა № 40. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 40.

კვირას, 28 თებერვალს, 1910 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

## სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმედებად თ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე გ. ურუშაძე.

დრამატ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(10—8) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—16)

## ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ.

## „ძმები სეილანოვები"

ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.

მარსი 20 ცალი 5 კაპ.

რომ დარწმუნდეთ რომ ეს პაპიროსები ყველა ცნობილ პაპიროსებს სჯობია.

(15—ტ.—9)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ხ. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—69

**ექიმი** კბილისა ნინო რაზინოვა

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლღას ქუჩა N 25.

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—110)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—127)

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—27

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—ნ.—15)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; [illegible] ხას. 1—2 ს. კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

**გურო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 1—12 ს.

**კარჩნი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10-12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირბდოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიურ ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—120)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ვადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—282)

სამშაბათს, 2 მარტს, ტფ. სახაზინო თეატრში

## ა. ნ. ლისოვსკი

წაიკითხავს რუსულად ლექციას

## „ინდივიდუალიზმი"

თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობანი.

განყოფილება პირველი: ლიტერატურული ევოლიუცია მეცხრამეტე საუკ. პრობლემა საზოგადოებრივობისა და პიროვნული. კოლეტივიზმი და ინდივიდუალიზმი. განყოფილება მეორე. პიროვნების ტრაგედია.

„მეტერლინკი" და „პშიბიშევსკი"

ოთხშაბათს, სამ მარტს, იმავე შენობაში წაიკითხავს მეორე ლექციას:

## „კოლექტივიზმი"

I

«ლიტერატურა და ცხოვრება რუსეთში და დასავლეთ ევროპაში მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასწყისი».

II

„კოლლექტივიზმი მ. გორკისა და ლ. ანდრეევის შემოქმედებაში.

III

„პიროვნების პროტესტი „ს ა ნ ი ნ ი" არციბაშევისა".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 20 კაპ-დან 2 მან-დის.

(2—დეკ.—1)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—13)

## დ. ქარელში

მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—6)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

### ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გზგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—26

**ექიმი** გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—107)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზენოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—37)

ამერიკული ჯიშის

## ვაზი

იყიდება ნაფარეულის (კახეთის) საუფლისწულო მამულში შემდეგი სორტისანი:

რუპესტრის-დიუ-ლო და მურვედრ რუპესტრის № 1202 ათასი ცალი არშინ-ნახევარიანი 10 მან.

რიპარია გლუარ დე მონპელიე და რიპარია გრანდ გლაბრ ათასი იმავე ზომისა 8 მან.

შეხვევა და გაგზავნის ფასი მყიდველების ხარჯზე. შეკვეთა შეიძლება ნაფარეულის საუფლისწულო მამულის კანტორაში. ქ. თელავი (3—ნ.—3)

**ე. შ.** წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ხონის განყოფილების წევრთა წლიური კრება** დანიშნულია ამ წლის 7 მარტს ხონის ვაჟთა პროგიმნაზიაში, დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. გასული წლის ანგარიშები.
2. მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა
3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა.
4. ახალ წევრთა მიღება და სხვა.

3—3

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბლარონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—376)


## ტფილისი, 28 თებერვალი

უეჭველია, მკითხველი არ გვემდურება იმის გამო, რომ კარგა ხანია სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობაზე არ გვილაპარაკნია. იმის სხდომების ყოველდღიურ ანგარიშებიდან მკითხველი თითონვე ხედავს, რაოდენად ყოველ ინტერესს მოკლებულია, რამდენად უფერული და უსიცოცხლოა რუსეთის „უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების" მუშაობა. სამი მეოთხედი სესსიისა დასრულებულია, რაც დრო დარჩა—სულ ბიუჯეტის დამტკიცებას მოუნდება და ამნაირად ეს სესსიაც ისე ჩაივლის, რომ ქვეყანას ხელში არაფერი დარჩება, როგორც არაფერი დარჩენია წინანდელ სესსიებიდან. მთელი ხუთი თვის განმავლობაში სათათბირომ მხოლოდ ერთი, ცოტად თუ ბევრად, თვალსაჩინო კანონ-პროექტი განიხილა — ადგილობრივ სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს მაინც იქმნას განხორციელებული: ის ძალები, რომელნიც აუძლურებენ სათათბიროს, რომელთაც უპყრავთ დღეს ხელში სახელმწიფოს პოლიტიკის საჭირი, ამ ერთად-ერთ საპარლამენტო მოღვაწეობის ქმნილებასაც დაამახინჯებენ ან სრულებით უკუაგდებენ...

ამრიგად, სრული უძლურება და არარაობაა კვლავ მთავარი დამახასიათებელი თვისება რუსეთის სახალხო წარმომადგენლობისა და კოკოვცევს ისევ თამამად შეუძლიან საჯაროდ აღიაროს: „მადლობა ღმერთს—რუსეთში პარლამენტი არ არსებობს"-ო. ესეთი მისი აღიარება სრულებით არ იქნება სინამდვილის წინააღმდეგი, რადგან რუსეთში განსაკუთრებული რეჟიმი არსებობს და არა კონსტიტუცია, რადგან, რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო ივიწყება 17 ოქტომბრის დაპირება, რადგან ძალა თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ხელშია ისევ და არა სახალხო წარმომადგენლობისაში. ეს კარგა ხანია ცხადია, მაგრამ იყვნენ რუსეთში კიდევ ელემენტები, რომელთაც ამისი შეგნება არა ჰქონდათ და რომელთაც სწამდათ, რომ მარჯვე დროს, როცა სრული „მშვიდობიანობა" დამყარდება, მთავრობა და პარლამენტი მოვალეობას, „ისტორიულ მოვალეობას" აასრულებენო. მაგრამ, დღენი ჩვენის ცხოვრებისა ამ რწმენასაც ურყევენ ხსენებულ ელემენტებს და დღითი-დღე იზრდება ის ბანაკი, რომელსაც არავითარი იმედი არა აქვს მესამე სათათბიროსი. და დღეს თუ ჩვენ სათათბიროზე ჩამოვაგდეთ კვლავ ლაპარაკი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აღგვენიშნა ხსენებული რყევა რუსეთის ლიბერალთა ილლიუზიებისა, რაც ცხადათ გამოაშკარავდა უკანასკნელ დღეების კამათის დროს ბიუჯეტის გამო.

შარშანდელ საბიუჯეტო კამათში თვით კადეტები, მიუხედავად მკაცრის კრიტიკისა, მაინც აცხადებდნენ იმედს, რომ სათათბირო ბოლოს და ბოლოს სძლევს ბიუროკრატიულს კერპობას და დაიყოლიებს მთავრობასაო. კადეტთა მასსის სულიერ განწყობილების უკეთესი და გულწრფელი გამომხატველი დეპ. მაკლაკოვი პირდაპირ აღიარებდა ამ იმედს და წინასწარმეტყველობდა, რომ მთავრობა მალე გახდება იძულებული საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებას შეუდგესო. ხოლო წრევანდელს საბიუჯეტო სიტყვაში იგივე მაკლაკოვი ძალიან შორს არის ამ ოპტიმიზმისაგან და უკვე უიმედოთ დაასკვნის, რომ ვერც მთავრობა, ვერც დღევანდელი სათათბირო ვერ შესძლებენ დაპირებულ რეფორმათა განხორციელებასაო.

მაგრამ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ეჭვი თვით ოქტომბრისტებსაც შეჰპარვიათ. ჯერ თავ. გოლიცინმა, შემდეგ პარტიის ლიდერმა გუჩკოვმა სასოწარკვეთილებით აღნიშნეს, რომ მთავრობა დაპირებას არ ასრულებსო: თუმცა „მშვიდობიანობა აღდგენილიაო", რეფორმები არა სჩანს და ქვეყანა იმავ „ტუპიკ"-ში არის, რომელშიაც ძველ რეჟიმის დროს იყოო. გოლიცინი იმდენად გაკადნიერდა და გათამამდა კიდეც, რომ ოპოზიციის ცნობილ ლოზუნგსაც იმეორებს: „ამიერიდან ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო!.." მართალია, ბოლოს და ბოლოს გუჩკოვი ისევ იმედით ამბობს: კიდევ ველით მთავრობისაგან პირობის შესრულებასო, მაგრამ წინანდელი რიხი აღარ არის და სასოწარკვეთილება ნათლად გა-

მოსქვეის ოქტომბრისტების სიტყვებიდანაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის გამო ატეხილი კამათი მოწმობს ამ სასოწარკვეთილებას ოქტომბრისტთა და ზომიერთა შორის, მოწმობს აგრეთვე იმას, რომ თანდათან ვიწროვდება ის წრე, რომელიც მხარს უჭერს დღევანდელ პოლიტიკას რეაქციონურის მთავრობისას. მესამე სათათბიროს მოღვაწეობის ერთად-ერთი პლიუსი ეს არის,—იგიც უარყოფითი: მისა და მთავრობისადმი ნდობა ეკარგება იმ ბურჟუაზიულს ელემენტებსაც, რომელთაც სწამდათ, რომ მთავრობა არა მარტო „იხსნის“ მათ რევოლიუციისაგან, არამედ უფლებრივ წეს-წყობილებასაც დაამყარებსო. რაც დრო წავა, მით უფრო დარწმუნდებიან ეს ელემენტები, რომ ბიუროკრატია ამ როლს ვერ შეასრულებს და რომ კვლავ თვითმოქმედება, სხვა რიგი თვითმოქმედება იქნება საჭირო რუსეთის განახლების გზაზე დასაყენებლად.

# დღიური

### სადღაა საზოგადოება?

ციხე შიგნიდან გატყდებაო, ამბობს ბევრჯელ გამოცდილი ანდაზა და მართლაც განა რაიმე შიში გვექნებოდა, რომ ჩვენ თვითონ არ ვიყოთ ჩვენის თავის მოღალატენი?

საკუთარის ხელებით დავიდგით ულელი კისერზე, საკუთარის შრომით და სისხლით დავიმკვიდრეთ ჩვენი მონობა და დღესაც, თუ ვინმემ ჩვენთაგანმა განიზრახა საერთო ტვირთვის შემსუბუქება, მაშინვე მივვარდებით, ვისთანაც ჯერ არის, ძმის გასაცემად, გულზე ხელს დავიცემთ და შევფიცებთ: მონანი ვართ უერთგულესნი, ჩვენი ცხოვრება—თქვენთვის თავის დადებაა, ჩვენი ბედნიერებაა—თქვენი მოწყალე თვალების ხილვა, ჩვენი სურვილი—თქვენი ფერხთა მტვერის ლოკვა.

მონურ ერთგულობისთვის გაგიჟებულთ, ყველაფერი გვავიწყდება—სინდისი, პატიოსნება, გვავიწყდება, რომ დღე დღეა, ღამე—ღამე, წამებულის კვნესა არა სიცილი, ტანჯვა არა ბედნიერება, და არ ვერიდებით არავითარს სირცხვილს და დამცირებას, ოღონდ კი მონის ერთგულების ხარისხი არ ჩამოგვართვან...

ტფილისის გუბერნიის თ.-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსთან არსებობს, აგერ რამდენიმე წელიწადია, საადგილ-მამულო კომისია, რომელიც სცდილობს, გასასყიდი მამულები თ.-აზნაურებისა გლეხებზე გადავიდეს, გლეხებმა შეისყიდონ. როგორც ჰხედავთ, კომისია სრულიად კანონიერი დაწესებულებაა, მისი არსებობა არავისთვის არა ყოფილა დაფარული. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი ბრწყინვალე გვამნი, რომელთაც რაღაც გაუგებარის მიზეზით არ ესიამოვნათ კომისიის სახე, და მორთეს ხმა მაღლა ყვირილი: ეს რა კომისია დაგიარსებიათ, ვინ მოგცათ ამისი უფლება! არიქა გვიშველეთ, მოგვხედეთ, ქვეყანას ღუპავენო!

ქუთაისში თ.-აზნაურობის კრება გაიმართა. ამგვარ კრებას, რასაკვირველია, არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს: ჩვენში, განსაკუთრებით ქუთაისში, ბევრი მოცლილი ხალხია, შეიკრიბებიან, იბაასებენ, არც არავის შეემატება რამე ამით და არც დააკლდება. მაგრამ გმირთა ჩამომავლებს გულმა არ მოუთმინათ და საგმირო საქმეზე გაიწიეს: სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა გეგეჭკორმა სთქვა, სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ აზნაურობას ვეკუთვნითო, ასეთ დანაშაულობისთვის იგი კეთილშობილთა წოდებიდან უნდა გამოირიცხოსო, მოითხოვეს გაკოტრებულმა თავადებმა და აზნაურებმა...

ამავე კრებაზე მთელი ოთხი, საათის განმავლობაში ორი თავადი და მათი პარტიები თავდავიწყებით ეცილებოდნენ ერთმანეთს, არა—ჩვენ ვართ და არა თქვენ უერთგულესი მონები, და ამ შეცილების დროს ქართულ ლექსიკონში არ დაუტოვებიათ არც ერთი ლანძღვა-გინების სახელი, რომ მით არ შეემკოთ ერთმანეთის ბრწყინვალე ღირსება...

საქართველოს ეკკლესიისათვის დამოუკიდებლობის აღდგენა და თავისუფლების მოპოვება ისე საჭიროა, როგორც წყალი თევზისთვის, მაგალითად. ეს იმდენად მარტივი და ნათელი საგანია, რომ მის წინაამდეგ არავინ გონიერი და გულწრფელი ხმას არ ამოიღებს. მაგრამ არიან სულიერნი მამანი, რომლებიც დღე ერთია და ორს მოხსენებას ჰგზავნიან: ჩვენი ეკკლესია მეტის მეტად თავისუფალია და კარგი იქნებოდა, უფლებათა ცოტაოდენი შეზღუდვაო. ამბობენ, ვოსტორგოვმა დიდი თანხა გადასდო ქართველ მღვდლების მოსასყიდადო. დაუჯერებელი ამბავია, ვოსტორგოვი ჭკვიანი კაცია და ტყუილს ხარჯს არ გასწევს, როცა დარწმუნებულია, რომ მის უფულოდაც კარგად გაკეთდება საქმე.

რამდენია ამისთანა გამცემლობის მაგალითი სხვაგან, ეგრეთ წოდებულს განათლებულ წრეშიც, რომელიც ვითომც და ყოველ წოდების გარეშეა! საჭირო აღარ არის დასახელება, ეს თითქმის ყოველ დღე ხდება, ამას ყველანი ვხედავთ, ვხედავთ განსაკუთრებით მორუსულე ქართველებში. ზოგი ღალატობს საერო საქმეს პირადის ანგარიშით, ზოგი მიბაძვით, ზოგი შეუგნებლად, გულუბრყვილობით.

მეტყვიან: მაშ მთელი საზოგადოება მოღალატე და გამცემი ყოფილაო!

ვიტყვი: არის!

არის იმიტომ, რომ მთელი საზოგადოება ასაზრდოვებს გამცემლებს, მათთან სცხოვრობს, ითმენს. საზოგადოებას არა აქვ' თავისი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სასტიკს ანგარიშს უნდა სთხოვდეს ყოველს დამნაშავეს და მოურიდებლად დასჯიდეს უზნეო მოქმედებას. ზემოდ დასახელებული თავადები, მღვდლები, თუ სხვანი განცალკევებულად არა ცხოვრობენ, ისინი საზოგადოების გულში იმყოფებიან და თუ დღეს ეახლეს, ვისაც ჯერ არს, და საზოგადოება დაასმინეს, საზოგადოების სავნებლად იმოქმედეს, ხვალ ამავე საზოგადოების სრულ უფლებიანი წევრნი იქნებიან, ყველასაგან მიღებულნი, პატივცემულნი და ხშირად საზოგადო მოღვაწის სახელითაც დაჯილდოვებულნი ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული, რომ ღიმილით, სალამით ამხანაგურად მივეგებოთ ადამიანს, რომელიც, ვიცით, საზოგადოების მტერია. ყველა გაოცდება, რომ სხვაფერ მოვიქცეთ, უზრდელს დაგვიძახებენ და ზრდილობაა უსინდისოსთან და უპატიოსნოსთან ამხანაგობა!

განა ასეთ საზოგადოებას ნება აქვს სთქვას: მე ბრალი არა მაქვს მოღალატეების მოქმედებაში? განა ასეთი საზოგადოება წარმოადგენს რაიმე ზნეობრივ ძალას? განა ასეთ საზოგადოებისადმი პატივისცემა აღძვრის ვისმე?

მთელი საზოგადოებაა გარყვნილი, დაცემული, უზნეო, უპრინციპო და ამიტომაცაა, რომ დათარეშობენ გამცემლები. კიდევ უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით: ჩვენში საზოგადოება სრულებითაც არ არსებობს, არ არსებობს წარმომადგენელი ეროვნული, განვითარებულ აზრისა. არ არსებობს, რადგან არ არის ეს ეროვნული აზრი და არ არის საზოგადოება მატარებელი ამ აზრისა. არ არის არც სხვა რაიმე ზნეობრივი პრინციპი, რომლის გარშემო იკრიბებიან საზოგადოების შემადგენელი წევრები. ყოველს საზოგადოებას აქვს თავისი კოდექსი, რწმენათა და შეხედულებათა კრებული, რომლის ძალით საზოგადოება არსებობს და რომლის შესრულება ყოველი წევრისთვის აუცილებელი მოვალეობაა. ადამიანები რომ ერთად სცხოვრობენ, ეს კიდევ საზოგადოება როდია. საზოგადოება მაშინ იქნება, თუ არის ზნეობრივი ძალა, საზოგადოებრივი აზრი, რომელიც აერთებს და აკავშირებს ადამიანებს.

არ არსებობს ქართული ეროვნული აზრი, ეროვნული შეგნება, თავმოყვარეობა—არ არსებობს ქართული საზოგადოება. მოღალატენი და მტრები მრავლდებიან, რადგან არა ხედავენ ძალას, რომლის წინაშეც პასუხი უნდა აგონ. შინაურნი გვღალატობენ და გარეშენი ზიზღით დაგვცინიან: ჩვენს ენას, ჩვენს უწმინდეს განძს—ძაღლის ენას უწოდებენ! ჩვენი სახე ეძაგებათ და რო დაგვინახავენ, განზე მიიხედავენ და გააფურთხებენ!..

ყველაფერი უნდა ვითმინოთ, ავიტანოთ! ხმის გამცემი ვინაა? ქართველი საზოგადოება? უძლური, უზნეო, უაზრო?.. **ხიტუვა.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

25 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ დაამთავრა ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა და შეუდგა იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

პირველად ილაპარაკეს იმ ფულის შემცირებაზე, რომელიც სამინისტროს ეძლევა პოლიტიკურების ზედამხედველობისთვის. გოდნევმა წადადება შეიტანა, ეს ფული 17.60 მანეთით შემცირდეს. მემარჯვენები წინააღმდეგნი იყვნენ.

**მღ. ხტანისლავსკიმ** სთქვა: პოლიტიკურები პრაპაგანდას ეწევიან და საჭიროა პოლიციას თვალ-ყური ეჭიროსო.

**ზუბოვსკიმ**, პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორმა, განცხადა: ფულის შემცირებით, პოლიტიკურებზე თვალ-ყურს ვეღარ ავიჭერთ და ბევრი პოლიტიკური ამოიქცევა. მათი დაჭერა და დაბრძნება მეტ ზარალს მოგვცემს. პოლიტიკურები ორ გვარნი არიან: ერთნი ალგაზრდანი, უნებურად შემცდენი, მეორენი გამოცდილნი, რომლნიც ძალიან საშიშნი არიანო. პირველებს სამინისტრო ანთავისუფლებს, მეორეებს სასტიკად ექცევა.

სათათბირომ მიიღო გოდნევის წინადადება. ამ წინადადებას მხაი დაუჭირეს ოპოზიციამ და ცენტრმა. წინააღმდეგნი იყვნენ ნაციონალისტები და მემარჯვენენი.

შემდეგ სათათბირომ განიხილა სადამოჟნო გადასახადთა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა.

**დზიუბინსკი.** სადამოჟნო გადასახადების საქმე ისეა მოწყობილი, რომ მთელი სიმძიმე ამ გადასახადისა ღარიბ ხალხს აწევება ზურგზე. დიდი ბაჟი ადევს, მაგალითად, ჩაის, რომელსაც ყველა ხმარობს. ჩემის აზრით, ეს ბაჟი 50%-ით მაინც უნდა შემცირდეს.

სათათბირომ მიიღო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის რედაქციით.

ცოტაოდენი კამათი გამოიწვია მოსამზღვრე დარაჯთა კორპუსის ხარჯთ-აღრიცხვამ.

**ბობრინსკი.** (კადეტი) აცხადებდა, მეტად ბევრი მუშაობა აქვთ დარაჯებს, სტანჯავენ და აწვალებენ მათაო. ამას გარდა შეცდომაა, რომ მოსამზღვრე დარაჯთა კორპუსი სამხედრო ძალად უნდა მთავრობას გამოიყენოსო.

**ფინანსთა მინისტრმა** პასუხი გასცა ბობრინსკის და სცდილობდა იმის აზრების გაბათილებას.

ხარჯთ-აღრიცხვით რკინის გზათა დეპარტამენტისთვის გადადებული ყოფილა 29,879,202 მანეთი. კომისიას [illegible] 9,276,605 მანეთი შეუმცირებია. სათათბირომ შეიწყნარა კომისიის აზრი.

კამათი გამოიწვია საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვამ. გადადებული ყოფილა ამისთვის 21,105,164 მანეთი. კამათი გამოიწვია იმან, რომ ფინანსთა სამინისტრო სათათბიროს არ უდგენს ამ კანცელარიის საზღვარ-გარეთის განყოფილების ანგარიშს. ეს საიდუმლო საქმეა და ვერ გამოვაქვეყნებთო.

**შინგარიოვმა** (კადეტი) აღნიშნა, რომ ეს განყოფილება ასი მილიონობით ატრიალებს ფულს და კანტროლი კი არავითარი არ არის. სათათბიროს ამ ფულის არავითარ ანგარიშს არ უდგენენ. ვალების გამსტუმრებელ კომისიაში ათასი ბოროტება ხდება და ყურადღებას კი არავინ აქცევს. ორატორი შეეხო აგრეთვე საგლეხო ბანკის მავნე მოქმედებასაც.

საგლეხო ბანკის მოქმედება სხვებმაც გაჰკიცხეს.

**ბულატი** (ტრუდოვიკი). საგლეხო ბანკი თავის საქმეს ივიწყებს და პოლიტიკას მისდევს. ლიტვაში ბანკი ყიდულობს მამულს და რუსის გლეხებს ასახლებს, ხოლო ლიტველ გლეხებს ცარიელზე სტოვებს.

ბოლოს სათათბირომ დაამთავრა ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა და გადავიდა იუსტიციის ხარჯთ-აღრიცხვაზე. იუსტიციის სამინისტროსთვის გადადებული ყოფილა 44,006,972 მანეთი.

**გეგეჭკორი.** იუსტიციის სამინისტრო ანტი-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას აწარმოებს. ეხლანდელი მინისტრი ძალიან მოქნილი კაცი გამოდგა და ყოველგვარ გარემოებას ადვილად ეგუება. იგი მთავრობის მისწრაფებებს ემსახურება და არა მართლმსაჯულებას. მინისტრმა მოსპო დამოუკიდებლობა მოსამართლეებისა; გამოსცა ცირკულიარები, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითად კანონებს და მართლმსაჯულება გენერალ-გუბერნატორებს დაუმორჩილა. სათათბიროს დემოკრატიული ნაწილი წინააღმდეგი იქნება, რომ იუსტიციის სამინისტროს ფული გადაეცეს.

**გერასიმოვმა** (კადეტი) აღნიშნა, იუსტიციის მინისტრი რა სასტიკად ექცევა განმანათლებელ მოძრაობის მომქმედებს—ეხლა სდევნის სამინისტრო ამათაო. ორატორმა წაიკითხა კადეტების ფორმულა, რომლითაც გაკიცხულია იუსტიციის სამინისტროს მოქმედება.

**გოდნევმა** სთქვა, რომ იუსტიციის სამინისტრომ უმაღლეს ძალას მიმართა და შესცვალა ძირითადი კანონები. კანონად არ ჩაითვლება უმაღლესი ბრძანება, რომელიც კანონიერის გზით არ არის გამოცემული.

**ლიახნიცკი** (ტრუდოვიკი). სამინისტრო ხელმწიფის უფლებით სარგებლობს და დამნაშავე მემარჯვენეებს და რეაქციონერებს სასჯელისაგან ანთავისუფლებს. ტრუდოვიკების აზრით, სათათბირომ უნდა უარ-ჰყოს სამინისტროს ბიუჯეტი.

ლიახნიცკის სიტყვის შემდეგ დარბაზში არ აღმოჩნდა კანონიერი რიცხვი დეპუტატებისა. თურმე მემარჯვენენი განგებ დარბაზიდან გასულიყვნენ. ზოგიერთებმა მოითხოვეს, ხმის ჩამოტარებით გაეგოთ — შესწყდეს სხდომა თუ არა. ამ დროს შევიდნენ მემარჯვენენი და დაიჭირეს თავიანთი ადგილები. თავმჯდომარემ წაიკითხა ის მუხლები, რომელიც ხმის ჩამოტარებას შეეხება.

**მარკოვი მე-2** (მემარჯვენე). ნაკაზი სენატს არ გამოუქვეყნებია და ამიტომ ძალა არ აქვსო.

სათათბირომ დაადგინა, განაგრძოს სხდომა. ამის შემდეგ შეტანილ იქმნა წინადადება კამათის მოსპობის შესახებ. ამან ძალზე გააბრაზა მემარჯვენენი—მარკოვი, პურიშკევიჩი, ბერეზოვსკი 2, ჩერკასოვი და სხვანი.

**გუჩკოვმა** ცხარე სიტყვა სთქვა მათ წინააღმდეგ. ამ ვაჟბატონებმა სათათბიროს კათედრა ბალაგნად გადააქციეს, ფეხით სთელავენ იმ იდეას, რომელსაც ჩვენ ვეტრფით და რომლისთვისაც ვმუშაობთო.

გუჩკოვი ეხლა მიხვდა, რომ მემარჯვენენი დღეს რუსეთში ყველაფერს ფეხით სთელავენ.

გეგეჭკორიმ თავის სიტყვაში მარკოვი მასხარად მოიხსენია. ამაზე თავმჯდომარემ სიტყვის თქმა აუკრძალა ა. გეგეჭკორი ტრიბუნიდან არ ჩამოვიდა, სანამ მასთან პოკროვსკი 2 და ლიახნიცკი არ მივიდნენ და არ წაიყვანეს.

სათათბირომ ბოლოს დაადგინა, მოსპოს კამათი.

ამ სხდომაზე დასასრულ ილაპარაკა იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა **ვერიოვკინმა**, რომელმაც ქება-დიდებით [illegible] ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე ხოლოდოვსკი და გამომძიებელი ლიჟინი, როგორც ვიცით, ამათ შესახებ შეკითხვა შეიტანეს სათათბიროში („ნოვოროსიისკის რესპუბლიკა“). ლიჟინს, — სთქვა ვერიოვკინმა,—თანაგრძნობა ეჭირვება, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც რევოლიუციონურ პარტიის დაშნაკციუტუნის საქმე აქვს ჩაბარებული. ვერიოვკინმა ისიცა სთქვა, რომ იუსტიციის მინისტრი პასუხის-მგებელია მარტო ხელმწიფის წინაშეო, რისთვისაც მემარჯვენეებმა ცხარე ტაშით დააჯილდოვეს.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

26—27 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**პეკინი.** პრინცმა-რეგენტმა დაამტკიცა მოხსენება ჩინეთში მონობის მოსპობის შესახებ. მოხსენება შეიმუშავა იმ კომიტეტმა, რომელიც კონსტიტუციონურ კანონებს იმუშავებს. ადამიანის ყიდვა—გასყიდვა სასტიკად ისჯება. მშობლებს შეუძლიანთ შვილები მოჯამაგირედ დააყენონ, მანამ მათი შვილები 25 წლისა მოიყრებიან. აკრძალულია მოჯამაგირების ცემა და სასტიკად მოქცევა. მონის პატრონზედ სასტიკად ისჯებიან ისინი, რომლებიც მოჯამაგირეებს სასტიკად მოეპყრობიან.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. 1910—1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევია 40,603,700 გირ. სტერლინგი ნაცვლად 1909—1910 წლის 35,142,700 გირვანქისა. მომატება გამოიწვია უმთავრესად საზღვაო პროგრამის გაფართოებამ. წელს მეტი გემი უნდა აშენდეს, ვიდრე შარშან. ხარჯთ-აღრიცხვაში გემების ასაშენებლად ნავარაუდევია 13,279,830 გირვანქა ნაცვლად შარშანდელ 8,885,194 გირვანქისა, ხოლო 1,429,040 გირვანქა დანიშნულია სულ ახალ გემების ასაშენებლად, სახელდობ: ხუთი მებრძოლ ჯავშნოსნისა, ხუთი ჯავშნიან კრეისერისა, 20 კონტრ-ნაღმოსნისა და რამდენისამე წყალქვეშ მავალ ნავისა. ფლოტის მეზღვაურთა რიცხვს მოემატება 3,000 კაცი 17 მარტს ფლოტის მწკრივში ჩადგებიან: 5 მებრძოლი ჯავშნოსანი, 3 უჯავშნო კრეისერი, 9 კონტრ-ნაღმოსანი, 6 სანაპირო კონტრ-ნაღმოსანი და 16 წყალქვეშ მავალი ნავი. 18 მარტიდან შეუდგებიან აშენებას 7 მებრძოლ ჯავშნოსნისა, ჯავშნიან კრეისერისა, 9 პალუბა-ჯავშნიან კრეისერისა, 2 უჯავშნო კრეისერისა, 37 კონტრ-ნაღმოსნისა და 9 წყალქვეშ მავალ ნავისა. პალატამ ერთხმად დაამტკიცა საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვა და სამინისტროს მიერ დადგენილი ჯარის რიცხვი.

**ვაშინგტონი.** კონგრესის საზღვაო კომისიამ დაადგინა, პირს ნუ დავაჯილდოვებთ, მანამ არ წარმოადგენს საბუთის ქაღალდებს, რომ ჩრდილოეთის პოლიუსი აღმოაჩინაო.

**სტამბოლი.** რადგანაც წინად არჩეული კომისიის წევრებ შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზედ მომხდარი ინციდენტი ვერ გამოარკვიეს, ამიტომ აირჩიეს ახალი კომისია. ახლად არჩეულ კომისიაში ბოლგარების და ოსმალების წარმომადგენლების რიცხვი თანასწორია.

**კაზაბლანკა.** 25 თებერვალს, ღამე, 800 ადგილობრივი მკვიდრი თავს დაეცა საფრანგეთის მფრინავ რაზმს. რაზმმა გაფანტა ბრბო.

**სალონიკი.** ყარადაღში ჟანდარმების და ბოლგარების რაზმის შეტაკების საქმის გამოძიების დროს, ბერძენმა მასწავლებელმა გასცა ბერძენთა სარევოლიუციო ორგანიზაცია. დააპატიმრეს ბევრი ხალხი. მასწავლებელი და ყარადაღის ბერძენთა მიტროპოლიტის მოადგილე სადღაც გაიქცნენ.

**ვენეცია** ტარნოვსკაიას პროცესსი. ჩვენება ჩამოართვეს პრილუკოვს. პრილუკოვმა, სხვათა შორის, სთქვა: ტარნოვსკაიამ მაიძულა, რომ დამზღვევ საზოგადოების ბილეთი მისთვის გადამეცა. ეს ბილეთი ჩემი ცოლის სახელზედ მქონდა აღებული და ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ ცოლს უნდა გამოეტანა ფული. ტარნოვსკაიას ჩაგონებით ვენაში უნდა მომეკლა კომაროვსკი. უკვე სამზადისში ვიყავი, როდესაც ტარნოვსკაიამ და პერიემ გამომიცხადეს, კომაროვსკის ნაუმოვი მოჰკლავს, ამ საქმეს ნაუმოვის შენზედ კარგად შეასრულებს და შენ საჭირო აღარა ხარო. როდესაც ნაუმოვი ვენეციაში კომაროვსკის მოსაკვლელად წავიდა, მეც თან გავყევი და მის შეუმჩნევლად ვენეციაში ჩავედი. იმ დროს, როდესაც ნაუმოვმა კომაროვსკის რევოლვერი ესროლა და მოჰკლა, მე იქვე მახლობლად ვიყავი. რევოლვერის გასროლისთანავე ქალის ყვირილი შემომესმა. მალე ვენეციიდან ვენაში ჩავედი, სადაც დამაპატიმრეს. გამოძიების დროს ყველაფერში გამოვტყდი. მოსკოვში ტარნოვსკაიასთან 5 თვე ვცხოვრობდი და თვეში მისი შენახვა 4,000 მანეთი მიჯდებოდა. ტარნოვსკაიამ იცოდა, რომ სხვის ფულსა ვხარჯავდი. ტყუილია ის, ვითომ მე მერჩიოს ტარნოვსკაიასთვის, რომ კომაროვსკი თავის სასარგებლოდ დაეზღვია. მე მზად ვიყავი მომეკლა კომაროვსკი და ცნობებსაც ვკრეფდი, თუ როგორ შეიძლებოდა კაცის უფრო ადვილად მოკვლა. ერთმა მირჩია ხლოროფორმიანი პაპიროსი. ერთ დროს გადაწყვეტილი მქონდა ხანჯალი მომეწამლა, მაგრამ თავი გავანებე. შემდეგ სროლას ვსწავლობდი. ვენაში პოლიციამ რომ ჩვენება ჩამომართვა, ტარნოვსკაიას არაფერი ბრალი არ დავსდე, რადგან გაგიჟებით მიყვარდა. ტარნოვსკაიამ ნაუმოვს მიტომ მოაკვლევინა კომაროვსკი, რომ იმედი ჰქონდა და დარწმუნებულიც იყო რომ ნაუმოვი ჩემზედ ნაკლებ ჩირქს მოსცხებდაო. წაიკითხეს პრილუკოვის დეპეშა, რომელიც მან ტარნოვსკაიასთვის გაუგზავნა და საქმის ვითარება გაუცვნია.

**ბერლინი.** გაზეთებს ათინიდან ატყობინებენ: შესაძლებელია, რომ სამინისტრო გადადგეს, რადგან სამხედრო ლიგა მინისტრ-პრეზიდენტ დრაგუმისს აუსრულებელ მოთხოვნებს უდგენსო.

**სტამბოლი.** სერბიის გარეშე საქმეთა მინისტერმა მილოვანოვიჩმა სტამბოლში ყოფნის დროს ოსმალეთის მთავრობასთან თანხმობით შეიმუშავა პროექტი, რომლითაც ოსმალეთ-სერბიის საზღვარზედ უნდა გამოიყოს ადგილი, სიგანით 20 კილომეტრი და ამ ადგილზედ მცხოვრებთ ნება უნდა ჰქონდათ ორთავე სახელმწიფოებში თავისუფლად გადავიდ-გადმოვიდნენ. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობა თანხმობას განაცხადებს, რომ ადრიატიკის რკინის გზა სერბიამ გაიყვანოს.

20 მარტს მოელიან სერბიის მეფეს.

გერმანიის ბანკის კომისარმა რეშიდ-ბეიმ დუელში გამოიწვია ანატოლიის გზების დირექტორის ამხანაგი კაუტცი. რეშიდ-ბეიმ დირექტორის ოთახში გალანძღა გერმანიის მრეწველთა ყველა წარმომადგენლები და მათ შორის, კაუტციც, რისთვისაც რეშიდ-ბეი დირექტორის ოთახიდან გაიყვანეს. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კაუტცმა უარი შეუთვალა რეშიდ-ბეის.

**ამსტერდამი.** „რანდელსბლადს“ სატავიიდან ატყობინებენ: იავას კუნძულზე ხოლერა თანდათან ძლიერდება. ყოველ დღე რამდენიმე კაცი კვდება.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო მდივნის ამხანაგმა განაცხადა, საფრანგეთი, გერმანია და შეერთებული შტატები შეთანხმდნენ და ინგლისს წინადადებას მისცემენ, რომ უკან წაიღოს თავისი შენიშვნები რანკოუ-სეჩაუნის რკინის გზის სესხის ოთხ სახელმწიფოთა შორის განაწილების შესახებ.

**სოფია.** სახალხო კრებამ უკამათოდ მიიღო წინადადება, რომ მინისტრების პეტროვის, პეტკოვის და გუდევის საქმე პარლამენტმა გამოიძიოს. აირჩიეს კომისია, რომელშიაც 15 დეპუტატი შედის.

**ვენა.** „ხორვატსკაია კორესპონდენცია“ იუწყება: მეფემ მიიღო დალმაციის გადაყენებული მთავარ-ეპისკოპოსი დვორნიკი. დვორნიკმა იმპერატორს გააცნო საქმის ვითარება და უამბო თუ როგორ სდევნიდა მას რომის პაპა. აუდენციის შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსმა დვორნიკმა განაცხადა, ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ჩემი გადაყენება „გლოგოლიცას“ ხმარებამ გამოიწვიაო. დალმაციის დეპუტატების სიტყვით მთავრობა თხოულობს, რომ დვორნიკმა უარი განაცხადოს მთავარ-ეპისკოპოზობაზედო.

**სან-ფრანცისკო.** აქა და სხვა ადგილებში ძლიერ მიწის-ძვრა მოხდა.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტუნგს“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: ათინაში ჩამოვიდა ფესალიის გლეხკაცობის 120 წარმომადგენელი. გლეხ-კაცობის წარმომადგენლები თხოულობენ, რომ სახელმწიფომ თავის ხარჯით დიდ მემამულეებს იძულებით ჩამოართვას მამული. მამულს გლეხები გაიყოფენ და ფულს რამდენიმე წლის განმავლობაში გაიღებენ. ამათმა ჩამოსვლამ უფრო გააფუჭა საქმე. ჯარი ყოველ შემთხვევისთვის მზადაა არის.

**ბერლინი**, ლანდტაგის უმრავლესობამ მემარცხენეების წინააღმდეგ მიიღო ცენტრისა და კონსერვატორების წინადადება, რომლითაც დეპუტატებს ირჩევენ ფარულის კენჭის ყრით ამორჩეული ამომრჩევლები, დეპუტატების არჩევნები საჯაროდ მოხდება.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ: სამხედრო ლიგამ მთავრობას შეატყობინა, ლიგა მთავრობას ნდობით უყურებსო.

**სალონიკი.** ალბანელებს და ოსმალეთის ჯარს შეტაკება, დეროვნის მონასტერის ახლო მოუვიდათ.

ალბანელთა მეთაურებს კრება ჰქონდათ. იხილავდნენ საკითხს სრულიად ალბანიის წარმომადგენელთა კრების მოწვევის შესახებ. ამ დროს იმ შენობას, რომელშიც კრება იყო გამართული, ალყა შემოარტყა ოსმალეთის ჯარის ერთმა ბატალიონმა. ჯარს ოთხი ზარბაზანი ჰქონდათ. ჯარმა ზარბაზანი დაუშინა სახლს. მოჰკლეს 7 ალბანელი. ალბანელების საშველად ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოვიდა 2,000 კაცი და იერიში მიიტანა ჯარზე. ჯარმა უკან დაიხია. ჯარს მოუკლეს 10 და დაუჭრეს ბევრი ჯარისკაცი. ალბანელებში დიდი აღელვებაა.

ენიჯენის ოლქში ბერძენთა და ბოლგართა რაზმების საწინააღმდეგოდ შესდგა მაჰმადიანთა 4 რაზმი.

**სტამბოლი.** იემენში სხვა და სხვა თემების მეთაურებს შეტაკება მოუვიდათ. ბევრია დაჭრილი და მოკლული.

ოსმალეთის მთავრობამ შეატყობინა ბოლგარიას, რომ რადგანაც საზღვარზედ მომხდარი ინიცინდენტი ბოლგარიის სალდათებმა გამოიწვიეს და ჩხუბი პირველად მათ ასტეხეს, ამიტომ სამაგალითოდ უნდა დასაჯოთ დამნაშავეებიო. ბოლგარიამ ოსმალეთს პირდაპირი პასუხი არ გასცა.

მინისტრთა საბჭოს მოხსენდა პროექტი, რომლითაც ამერიკელ ჩესტერს უნდა გადაეცეს სირაზ-დიარბეკირ არგინ-ბიტლის-ვანის რკინის გზის გაყვანის საქმე. კონცესიონერი მოვალეა 16 თვის განმავლობაში გამოიკვლიოს ადგილები და შემდეგ რკინის გზის გაყვანას შეუდგეს. ჩესტერს უფლება აქვს რკინის გზის ახლო-მახლო (20 კილომეტრის მანძილზედ) მადნები უფასოდ დაიმუშაოს. კონცესიის ვადა 99 წელიწადია. მინისტრთა საბჭომ მოიწონა პროექტი. პროექტს მალე დეპუტატთა პალატაში შეიტანენ.

**ვენა.** გარდაიცვალა ბურგომისტრი ლუგერი.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** მეჩეთებში მქადაგებლები მოუწოდებენ ხალხს არ ისესხონ ფული რუსეთისა და ინგლისისაგან და ნახევარი თავისი ქონებისა სახელმწიფოს შესწირონ. ქადაგება უნაყოფოა. ვაჭრებს ფული სტამბოლში გადააქვთ. სდგება კომისია ძალით ერთი მილიონის საშოვნელად.

**თავრიზი.** შეიარაღებული პირები ძალით ართმევენ მშვიდობიან მცხოვრებლებს საპროტესტო წერილებს რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნის გამო. სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი ერევიან საქმეში და გუბერნატორის უფლება გააქარწყლეს.

### რ უ ს ე თ ი

**ვორონეჟი.** სრედნი კარაჩანში ხალხმა მოჰკლა ურიადნიკი და საეროზო დარაჯი. საქმის გამოსაძიებლად წავიდა მაზრის უფროსი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით 2 მარტს პეტერბურგში მოხდება ებრაელთა კრება. კრება განიხილავს სარწმუნოებრივ საკითხებს. კრებას დაესრება 40 რაბინზე მეტი. თავმჯდომარედ იქნება ბარონი განზბურგი.

**ჰელსინგფორსი.** აბასა და ჰელსინგფორს შუა გაიყვანს უმავთულო ტელეგრაფი. ტელეგრაფი მშვენივრად მუშაობს.

**პეტერბურგი.** მემარჯვენე დეპუტატების ერთმა ჯგუფმა იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა განცხადება. განცხადებაში მემარჯვენეები შუამდგომლობენ, რომ სამართალში მისცენ საპარლამენტო შორისო კავშირის რუსეთის ჯგუფი. ამასთან მემარჯვენეები ატყობინებენ მინისტრს, რომ ჯგუფის თავმჯდომარის ინიციატივით 2 მარტს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის კაბინეთში მოხდება ჯგუფის კრება. კრებამ უნდა აირჩიოს ჯგუფის საბჭოს წევრები და ორი წარმომადგენელი კავშირის ცენტრალურ საბჭოში. მემარჯვენეები თხოულობენ, რომ მთავრობამ მიიღოს ზომები და კრება ჩაშალოს.

**ვარშავა.** დააპატიმრეს ებრაელი, რომელმაც დანით ორგან დასჭრა დარაჯი.

**პეტერბურგი.** ომსკსა და პეტრე-პავლოვსკში განსაკუთრებულ წესები გამოცხადდა.

**ასტრახანი.** მინდვრებში შავი ჭირი მოისპო.

**ეკატერინოსლავი.** დააპატიმრეს დარაჯის მკვლელი. დაპატიარებული აღმოჩნდა კრავჩენკო. მკვლელს უპოვნეს ყუმბარა და დინამიტი.

## აი, ჩვენი განმანათლებელი პედაგოგი!

(წერილი ქუთაისიდან)

როცა ჩემმა შვილმა პირველად „დედა“ და „მამა“ წამოიძახა, ჩვენ, იმის მშობლებს, ცას ხელი გაგვივიდა. როცა ჩვენმა უსუსურმა თან და თანობით ენა აიდგა და თავის სურვილისა და საჭიროების შესახებ გრძნობები გაგვიზიარა, ჩვენი სიხარული გაორკეცდა და გაძლიერდა.

დედის ენით ვესაუბრებოდით ჩვენის „ფირუზი ცის“ და „ზურმუხტი ხმელეთის“ მშვენიერებაზე, ჩვენი ქვეყნის მთათა „ყინულის ნაკვეთ თავების“ ბრწყინვალებაზე, სამხრეთის მზისა და მნათობთა ელვარებაზე, ჩვენი საქართველოს სამოთხის მდინარეთა და ნაკადულთა გრძნობის დამტკბობ ჩუხჩუხზე. ამ ენაზე შეიგნო ბავშვობაშივე სამების დიდება და თაყვანისცემა. ამ ენით ვათქმევინებდით „მამაო ჩვენოს“, „მრწამსს“ და „ათ მცნებას“. ამ ენაზე მიეჩვია მოძღვართან აღსარებას და ზიარების, ლოცვის მოსმენას. როცა ჩემი შვილის წერილი მომივა, ვიდრე გავშლიდე, თრთოლა მომდის, ხოლო როცა წავიკითხავ, გული მიამდება, რადგან ეს ბარათი იმის ავსა და კარგს მაცნობებს.

ამ შვილის იმედი გვაქვს ჩვენ, მშობლებს, იმის ნათესავებს და მახლობლებს; იმედი გვაქვს, რომ სასწავლებებს გაათავებს, მეცნიერებას შეიძენს და მისი ნაყოფის მოზიარედ გახდის თავის კუთხესა და მეზობელს, რასაკვირველია, იმ ენაზე, რომელიც მშობელი ერის ღვიძლი და საზიარო ენაა.

და, აი, ამ ჩემ შვილს, რომელიც სწავლის შუა გზამდე მიმიყვანია, მასწავლებელი ეუბნება შენი ენა „პირუტყვის“ ენააო. ვინ არის ეს მასწავლებელი? იგი განათლებული სლავიანია, მაღალი სასწავლებელი აქვს დასრულებული... თუ ეს ადამიანი სრული ჭკუისაა, რატომ არ დასდო პატივი ან ნორჩი ჭაბუკის თავ-მოყვარეობას, ან ჭაბუკის მშობელთა წმიდათა წმიდას, ან იმ ერის პატივ-მოყვარეობას, რომლის ახალთაობის მწრთვნელადაც იგი რუსეთის სწავლა-განათლების სამინისტროს გამოუგზავნია? როცა ახალთაობის მწრთვნელი არად აგდებს არც ერთ ზემოხსენებულს, განა იგი სახელს არ უტეხს ქვეყნის თვალში თავის მომავლინებელ სამინისტროს, არ აძულებს იმ ერს, ვისი უბადრუკი შვილიც იგია. როგორ არ იცის მაგ საბრალომ, რუსეთისა და მისი მომავლინებელის თავის მომჭრელმა შვილმა, რომ სამშობლო ენა დედის ძუძუზე უტკბესია, და ასეთ სიწმინდის შებილწვას საკანში ჩაგდებული მოქალაქეც ვერ მოითმენს...

რომელი ჭკუათა მყოფელი მასწავლებელი უწოდებს პირუტყვის ენას იმ ენას, რომელზედაც ქრისტიანობა სიმონ ქანანელმა და წმ. ნინომ იქადაგა, რომელზედაც გიორგი მთაწმინდელმა მთელი დაბადება გადმოიღო, რომელზედაც გადმოღებულია ელლინთა ფილოსოფია, რომელზედაც ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდნენ ჰყონდიდელები, ნეკრესელები და გაბრიელები; რომელზედაც სწერდა რუსთველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, აკაკი და სხვანი მრავალნი. და თუ ეს ვაჟბატონი უგუნურია, როგორის თვალით უყურებს მას მისი მახლობელი მთავრობა, მისი მახლობელი თანმოსამსახურენი? დასტურს ეუბნებიან და იზიარებენ მისს უგუნურებას, თუ უარყოფენ მას?

ან კიდევ: თუ ერთიც და მეორეც ამ შემაძრწუნებელს ინციდენტის გადაფუჩეჩებას მოინდომებს, რას ფიქრობს თავად-აზნაურობის წინამძღოლი, რომელსაც ხმის ამოღება შეუძლიან? თუ მას თავის ქვეყნის სახელი რამდე მიაჩნია, თუ არ უნდა, რომ ამ უგუნურ მასწავლებლის საქციელმა უფრო საზიზღარი და საშიშარი რამ არ გამოიწვიოს, ურჩიოს სათანადო მართებლობას, რომ ასეთი მასწავლებელი აქაურობას მოაშოროს და შემდეგისათვის მასწავლებლის დანიშვნას სიფრთხილით მოეკიდოს.

**შეურაცხყოფილი მშობელი.**

## ქუთაისის ავ-კარგი

**თავად-აზნაურთა კრება.**

**24 თებერვალი**

ამ დღის კრება შედარებით წესიერი და მშვიდობიანი იყო. წაკითხულ იქმნა ოქმი 23 თებერვლის კრებისა, რომელშიაც აღნიშნული არ იყო უმთავრესი საყურადღებო საგნები ამ კრებისა, მაგრამ ამ გარემოებას რაღაც მიზეზის გამო ყურადღება არავინ არ მიაქცია. არ მიაქციეს იმ პირთაც, რომელნიც მაშინ ძალიან რიხიანად თხოულობდნენ, ოქმში შეეტანათ ის სიტყვები, რომელიც ამა თუ იმ დამსწრეთ პირადობას შეეხებოდა, მაგალითად, ასეთი სიტყვები: „თქვენ ამ შემთხვევაში ბიბიკოვის მაგიერობასა სწევთ, იმის გავლენით მოქმედობთო“, „პროვოკაციაა“ და სხვა. შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, განეგრძო ბაასი თ-დ ნიჟარაძის და ალშიბაიას ინცინდენტის შესახებ. საკითხი ამნაირად დასვა: როგორ ინებებს კრება, დაეთანხმება ამ საქმის შესახებ დეპ. საკრებულოს განაჩენს თუ კომისიას აირჩევსო.

**იას. გელოვანი.** სჯობს შინაურულად გავათაოთ; კმარა რაც ითქვა და ეხლა სავსებით შეუერთდეთ დეპ. საკრებულოს განაჩენს.

**ვას. წერეთელი.** ავირჩიოთ მედიატორები საქმის გამოსარკვევად და შემდეგ მსჯავრი კრებამ დასდოს.

**ვ. ალშიბაია** ცხარედ თხოულობდა ეხლავე გასამართლებას.

კრების ერთ ნაწილს აშკარად ეტყობოდა, რომ უნდოდა ეს საქმე მიეჩქმალა და სამერმისოდ გადაედო, მაგრამ კიტა აბაშიძის საფუძვლიანმა სიტყვამ ერთბაშად შეუცვალა ყველას აზრი.

**კ. აბაშიძე.** საკითხი, რომელზედაც ეხლა გვაქვს ლაპარაკი, კერძო საქმეს არ წარმოადგენს. რაც გუშინ გამომჟღავნდა, იმან ნათლად დაგვანახვა, რომ ამ საქმის მიტოვება ან ჩაფუჩეჩება შეუძლებელია — ამით ჩვენ ჩირქს მოვსცხებთ არა თუ იმ პირთ, რომელთაც გუშინდელი ბაასი ეხებოდათ და რომელნიც ორი მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი არიან, არამედ მთელს თავად-აზნაურობას. აქ რომ მოინდომოთ საქმის ჩაქრობა, პრესა, რომლის წარმომადგენელნიც აქ არიან, თავისას იზამს და გუშინდელ კამათს ამცნებს დიდ საზოგადოებას. ამიტომ საჭიროა ავირჩიოთ კომისია, რომელმაც სავსებით უნდა გამოიკვლიოს ალშიბაია—ნიჟარაძის ინციდენტი და თავისი მოხსენება წარმოუდგინოს კრებას.

თავ. დ. ნიჟარაძე ტაშის ცემით მიეგება კიტა აბაშიძის სიტყვას. მით უფრო გასაკვირველი იყო თავ. ივანე ნიჟარაძის განცხადება, რომ კომისიას განსახილველად უნდა გადაეცეს გუშინდელი ინციდენტი, მაგრამ რაც შეეხება დეპუტატთა საკრებულოს ოქმს ალშიბაიას შესახებ, შეურყეველ და უბარ საბუთად ვცნობ, ვინაიდან იქ აღნიშნული გარემოებანი შემოწმებული და დადასტურებულია თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ; ამ ოქმის განხილვა კომისიის მიერ, ჩვენის წარმომადგენლებისთვის უნდობლობისამოცხადება იქნებაო.

ამ აზრს ბევრი მიემხრო. მაგრამ ბ-ნმა დავით კლდიაშვილმა აღნიშნა გარემოება, რომ თ-დ დავით ნიჟარაძეს მისივე მომხრეები „დათვის სამსახურს“ უწევენო და მოითხოვა, რომ მთელი საქმე გადასცემოდა კრების მიერ არჩეულ კომისიას.

აქთ-მა დავით ნიჟარაძემაც განაცხადა თანხმობა ისეთ კომისიის რჩევისა, როგორსაც ითხოვდნენ კიტა აბაშიძე და დავით კლდიაშვილი. ამის შემდეგ კრებაც მიემხრო ამ აზრს.

კომისიაში აირჩიეს: კიტა აბაშიძე, მჭი ფაღავა, იარონ აფაქიძე, პლატონ წულუკიძე, ერმილე ხუნდაძე, რამიტონ გელოვანი და იზმაილ ესხი. კომისიას დაევალა შემდეგ კრებისთვის წარედგინა თავისი მოხსენება.

დასასრულ, კრებას მოხსენება წარუდგინა გუბერნიის მარშალმა თ-დმა წერეთელმა იმ ინცინდენტის შესახებ, რომელიც მთავრობის გიმნაზიაში მოხდა ამას წინად. როგორც მკითხველს ეხსომება, გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელმა მეექვსე კლასში ქართულს ენას „პირუტყვის ენა“ უწოდა. მოსალოდნელი იყო, რომ როგორც კრება, ისე თავმჯდომარე ჯეროვანის ყურადღებით მოეკიდებოდნენ ამ საქმეს და თავიანთ გულისწყრომას მაინც განაცხადებდნენ „სახელოვან“ პედაგოგის მიმართ. ნამდვილად-კი აი რა მოხდა: თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ მან დეპუტატთა საკრებულოს მონდობილობით, მიმართა ცნობებისთვის გიმნაზიის დირექტორს. რადგან ამ უკანასკნელმა პასუხი დააგვიანა, თავ. წერეთელმა მეორედ მიმართა. ამ მიწერ-მოწერაში მარტო ის გამორკვეულა, რომ თავ. წერეთლისთვის გაუგებინებინებიათ, რომ დაწვრილებითი ცნობები ამ ინცინდენტის შესახებ შეგიძლიანთ მიიღოთ სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან ან გუბერნატორთანაო. უკედ რომ ვთქვათ, წინამძღოლის შეკითხვა უყურადღებოდ დაუტოვებიათ. ამიტომ თავ. წერეთელმა წინადადება მისცა კრებას, მომავალ მარშალს მივანდოთ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმესაო. რამდენიმე კაცმა, მათ შორის დ. კლდიაშვილმა სიტყვის ნება ითხოვა ამ საგნის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარის სისასტიკე აქ გამოიჩინა თავ. წერეთელმა. სიტყვის ნება არავის მისცა და საქმე ჩაფუჩეჩდა.

წინანდელს წერილში უკვე აღვნიშნე ჩვენი სიდუხჭირე, ჩვენი უილაჯობა, როცა საქმე ეროვნულ თავმოყვარეობის დაცვას ეხება და აქ აღნიშნულმა ამბავმა ნათელ ჰყო ჩემი აზრი.

დანარჩენი დრო კრებისა უკვე მიღებულ საკითხების კენჭის ყრას მოანდომეს.

**25 თებერვალი.**

აღარ ვიცი, საიდან მოუარო საქმეს. ვინც თავად-აზნაურთა კრებას თვალს ადევნებს, დიდი თავი უნდა ჰქონდეს, რომ ანგარიში გაუწიოს იმას, რაც კრებაზე ხდება. წინა წერილში გაცნობეთ, რომ ალშიბაია-ნიჟარაძის ინციდენტის გამოსარკვევად კრებამ აირჩია მაზრიდან თითო კაცი და ამ კომისიას მეორე დღეს უნდა წარედგინა თავისი მოხსენება კრებისთვის. კრება ამითი დამთავრდა და ჩვენ, კენჭის არ მქონენი, დაგვითხოვეს იმისთვის, რომ ყველა საკითხისთვის და, სხვათა შორის, ზემო-ხსენებულისათვისაც, კენჭი ეყარათ.

ვინ იფიქრებდა, რომ თითქმის ერთხმად მიღებული საკითხი, ფარულის კენჭის ყრით გაშავდებოდა, მაგრამ ტყუილად კი არ ამბობენ ქუთაისში—„კენჭი გაგვასწორებსო“. ეს იმასა ნიშნავს, რომ თქვენ რამდენიც გინდათ ილაპარაკეთ, ხოლო როცა საქმე კენჭის ყრაზე მიდგება, მაშინ ვნახავთ, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

24 თებერვლის კრებაც ასე მოიქცა: რაც სიტყვიერად მიღებულად იყო მიჩნეული ის, კენჭმა 60 ხმით წინააღმდეგ 57, უარ-ჰყო.

კრების ასეთ საქციელის მიზეზების გამოკვლევას რომ შევუდგეთ, მეტად შორს წაგვიყვანს და, გულახდილად უნდა აღვიაროთ, თავზედაც ვერ ვიდებ ისეთ საკითხის გამოკვლევას, სადაც გულ-წრფელობა და გულ-ახდილობა შორეულ კუნჭულშია მიმალული და იმისი ადგილი უჭირავს ფლიდობას და თავის აზრის დამალვას. რას გაიგებ იმ კრებისას, სადაც ლიდერი გულზე ხელის ცემით ერთ აზრს იცავს. ხოლო მისი დამქაშნი ასეთისავე მხურვალებით—სულ სხვას.

ასეთია ჩვენი, გაზეთის ქრონიკების, მდგომარეობა ეხლანდელ კრებაზე. თავსა და ბოლოს ვერაფერს გაუგებ და წყვდიადში იმყოფები.

25 თებერვლის კრებაზედაც, როცა წინა დღის ამბავი გაიგეს, შეშფოთდნენ ყველანი და სხვაზე მეტად თავ. ნიჟარაძე, რომელიც თხოულობდა საქმის გამორკვევას. ამავე აზრს იცავდა ბ-ნი ალშიბაია. მთელი დღე იკინკლავეს, ერთანეთს მაგარ-მაგარი ეპიტეტები მიახალეს და ძლივს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აირჩიეს გამომძიებელი კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: თ-დი ს. გ. წერეთელი, თ.დი ს. გ. მიქელაძე და თ-დი ო. თ. დადეშქელიანი. კიდევ კარგი, კრებამ კენჭით დაადასტურა ეს საქმე, თორემ გასაკვირველი არ იქნებოდა, რომ მეორე დღეს ისეთსავე კომედიას დავესწრებოდით, როგორიცა ამ დღეს მოხდა.

**ნატალიაშვილი.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **უორდროპი.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს პატივი სცეს ქართველთა მეგობარსა და ქართულ მწერლობის მცოდნესა და გამავრცელებელს აწ განსვენებულ მარჯორი უორდროპს. გამგეობამ დაადგინა, გამგეობის დარბაზში ჩამოჰკიდოს განსვენებულ უორდროპის სურათი.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოებაში.** გუშინ, 27 თებერვალს, ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. კრებას 25-მდე წევრი და მრავალი გარეშე ხალხი დაესწრო. კრებამ მოისმინა მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა „პრესის სინდიკატის“ შესახებ. მოხსენების კითხვამ თითქმის ნაშუადღევის 3 საათამდე გასტანა. შემდეგ დაიწყო კამათი. პირველად ილაპარაკა ვლ. ნაგურსკიმ. ნაგურსკის სიტყვა არ დაუმთავრებია, რადგან გვიან იყო სხდომა გადაიდო დღეს, 28 თებერვალს, დილის 10 საათისათვის.

✦ **წ.-კ. საზოგადოება.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქმნა რამდენიმე საყურადღებო საქმე. სხვათა შორის, გამგეობამ მოისმინა მოხსენება ყვირილის განყოფილებისა, რომ საზოგადოების გამგეობამ განყოფილებას შეაწიოს შარშანდელ წლის შემოსავლის 20%, რომელიც მთავარ გამგეობის კასაში უნდა იქნას წარდგენილი, თანახმად ინსტრუქციისა. გამგეობამ დაადგინა: აცნობოს განყოფილებას, რომ გამგეობას უფლება არ აქვს დაარღვიოს საზოგადოების ინსტრუქცია, რომელიც ავალებს განყოფილებებს 20% შემოსავლისა საზოგადო კასაში იქნეს შეტანილი საზოგადოების საერთო საჭიროებათათვის. გამგეობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება საზოგადოების განყოფილებებისა და სკოლების რევიზიის ეხლავე დაწყების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, შეუდგეს ეხლავე განყოფილებებისა და სკოლების რევიზიას. გამგეობამ თავის წევრთა შორის გაანაწილა აღნიშნული დაწესებულებანი სარევიზიოდ.

✦ **თეატრი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალ გამგეობას არჩევის დღიდანვე მოლაპარაკება აქვს სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოსთან ქართულ თეატრის იჯარით აღების შესახებ. როგორც გაიგეთ, დეპუტატთა საკრებულო თანხმაა დაუთმოს დრამატიულ საზოგადოებას როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო განყოფილება თეატრისა და მგრძთევე ბაღი.

✦ **სესხის განაღდება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ პეტერბურგიდან მიიღო რამდენიმე დეპეშა გამგეობის წევრის თავ. ალ. მ. არგუთინსკისა. იგი იუწყება, რომ ტფილისისათვის ხელსაყრელ პირობებით მეოთხე საობლიგაციო სესხის აღება ხერხდება ბელგიის კაპიტალისტებთანაო. ამ დეპეშისა გამო გუშინ მოხდა გამგეობის საგანგებო სხდომა.

✦ **ლექცია.** ახლო მომავალში ბ-ნი გ. გვაზავა წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ წაიკითხავს ქართულ თეატრში ლექციას ამ სათაურით: „ედმონდ როსტანი და მისი პოეზია“. ლექტორი საზოგადოებას გააცნობს მწერლის ცხოვრებას და დაწვრილებით შეჩერდება მწერლის იმ აზრებზე, რომელიც შეეხება ნაციონალურ საკითხს.

✦ **ექიმი ა. გ. გურკო.** როგორც „ტ. ლ.“-ს გაუგია, ტფ. მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ა. გ. გურკო მიდის ბაქოში, სადაც მას აძლევენ ნავთის მრეწველთა კრების საბჭოს საქმეთა გამგეობის წევრობას. ა. გურკოს ჩააბარებენ კრების საბჭოს საავადმყოფოებს და სასანიტარო-სამკურნალო დაწესებულებებს. ჯამაგირი ექნება 8 ათასი მანეთი.

✦ **მუღანის მორწყვა.** მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია, სახელმწიფო სათათბიროს წინადადება მისცეს, გადასდოს საჭირო ფული მუღანის აღმოსავლეთ ნაწილში წყლის არხების გასაყვანად.

✦ **500,000 მანეთის მოგება.** ამას წინად სოფელმა კაზი-იურტმა (თერგის ოლქი) და რამდენმამე მემამულემ ოლქის სასამართლოში საჩივარი აღძრეს, კავკავის რკინის-გზის გამგეობამ 500,000 მანეთის ზარალი მოგვაყენაო. გამგეობას ხიდის გაკეთების დროს წყლის კალაპოტი შეუცვლია და ამიტომ წყალს მინდვრები გაუფუჭებია. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, კავკავის ოლქის სასამართლოს ჰგადა ყვეტია, კავკავის რკინის-გზის გამგეობამ გლეხების და მემამულეებს სასარგებლოდ გადაიხადოს 500,000 მან.

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 1 მარტს, ტფ. საბჭოს განსახილველად წარედგინება შემდეგი საქმეები: განცხადება ხმოს. ა. მ. ახნაზაროვისა—შეიძლება თუ არა, ხმოსანი იურისტი იცავდეს საქმეებს ქალაქის ინტერესების წინააღმდეგ; მოხსენება გამგეობისა ამ საკითხის შესახებ. მოხსენება გამგეობისა ნავთლუღსა და ავლაბარში წყლის მილის გაფართოვების შესახებ და სხვ. ამავე სხდომისთვის დანიშნულია არჩევნები ტფილისის დამფასებელ კომისიის წევრთა.

✦ **ჯეჯილი.** ვერის საკვირაო სკოლის მოწაფეებმა „ჯეჯილი“-ს რედაქტორის ქ-ნ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის 20 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად თავიანთ შორის მოაგროვეს ფული და ერთი წლით „ჯეჯილი“ გაუწერეს გურჯაანის სამკითხველოს.

✦ **უარი.** როგორც ვწერდით, ბაქოს საბჭომ ქალაქის გამგეობის წევრად მიიწვია ცნობილი მოღვაწე დ. შიპოვი. შიპოვი ჩასულა ბაქოში, გაუცვნია საქმეები და გადაჭრილი უარი უთქვამს გამგეობის წევრობაზე.

✦ **ყალბი მოწმობები.** კავკავის ოლქის სასამართლომ არდონის სამისიონერო სემინარიის ყალბი მოწმობების შედგენისთვის გადაუწყვეტა: ექვსს ტუსაღთა განყოფილება თითო წლით, სამს—რვა-რვა თვით საპყრობილე. დამნაშავეთა შორის

არიან: სტუდენტი, აფიცერი ორი მასწავლებელი და ხუთი მედავითნე.

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოებაში.** ამ საზოგადოებაში შესდგა კომისია პროსტიტუციის საკითხის შესასწავლად. კომისია ამზადებს მასალას მოხსენებისათვის. მოხსენება წაკითხული იქნება აპრილში პეტერბურგში, სადაც მოხდება კრება ამ საგნის შესახებ. კომისია იკრიბება ხუთშაბათობით საზოგად. სადგომში ლერმონტოვის, ქ. 21. დიდმარხვის პირველ კვირას მოხდება სახ. წევრთა. კრება (მელიკ-ბახტამიანის სადგომში, ბარონის ქ., 25).

✦ **ჟურნალი „ერი“.** გამოვიდა ჟურნალი „ერი“-ს მორიგი ნომერი შემდეგის შინაარსით: „ჩვენი საქმეები; თავად-აზნაურობის საყურადღებოთ აკაკისა; ისევ ვუყვარვარ! ი. გრიშაშვილისა; ჩემია—გ. გვაზავასი; ხატობა—ვ. ბაგრატიონისა. შინაური მიმოხილვა; მაშიკო—ვალ. შალიკაშვილისა; მთის არწივი შამილი—ა. ფრონელისა; ინგლოთა ყოფა-ცხოვრება—ზ. ედილისა; თეატრი; მთა—ალბანელისა.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **სამთო-სატეხნიკო სასწავლებელი.** თებერვლის პირველ ნახევარში ქიათურაში შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭომ მოახდინა რამდენიმე სხდომა. ამავე დროს, საბჭოს წინადადებით, განსაკუთრებულმა კომისიამ ინჟენერ ცეიტლინის მონაწილეობით შეიმუშავა პროექტი სამთო-სატეხნიკო სასწავლებლის გასახსნელად. მრეწველთა ერთ-ერთ წარსულ კრების დადგენილება ამის შესახებ უკვე არსებობს. სასწავლებლის ტიპი ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, მაგრამ, როგორც ვიცით, ის უნდა იყოს ორი წლის კურსით, სადაც შევლენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი. ამ გვარ სპეციალურ სასწავლებლის გახსნა ქიათურაში ძალიან საჭიროა და მისი დაარსებაც სამთა-მადნო ცოდნით აღჭურვილ პირთა საჭიროებით არის გამოწვეული, ამიტომ მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. ამ სასწავლებლის გახსნა განზრახულია ამავე წლის შემოდგომაზე.


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

### გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 7 მარტს, შუადღის 12 საათისთვის, სახალხო სახლის სადგომში, 1906 წლის 15 ნოემბრის კანონის თანახმად. დანიშნულია კრება ქალაქ ტფილისის სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეებისა (ნოქრებისა). კრებამ უნდა აირჩიოს 6 წევრი იმ შერეულ კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ხსენებულ სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახები სავალდებულო დადგენილებანი.

კრებაში მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს სრულ წლოვან მოსამსახურეებს (ნოქრებს, თითოს ყველ დაწესებულებიდან). არჩეულთ, როგორც წარმომადგენელთ, ამ აწესებულების სრულ-წლოვან მოამსახურეთა მიერ.

კრებას წევრებმა სადგომში შესვლისას უნდა წარადგინონ მოწმობა, ხელ-მოწერილი ამომრჩეველთა მიერ კრებაში მონაწილეობა შეუძლიანთ მხოლოდ იმ დაწესებულებათა და სავაჭროების მოსამსახურეებს (ნოქრებს), რომელთაც 1909 წელს სამრეწველო გადასახადი გაეწერათ.

(3—2)

◀ ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ▶

### „ძმ. სესიევები და ამხ.“

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად მან გამოუშო გასასყიდად უმაღლესად დაწმენდილი, ფილტრაციის საშუალებით, ახლად შეკეთებულ და გაუმჯობესებულ აპპარატებით, რომელთაც

### პურის არაყი

დაჯილდოვებულია 1909 წლის პარიზის გამოფენაზე **უმაღლესის საჩუქრებით**

● **ფირმა განსაკუთრებით ურჩევს მუშტარს:** ●

**პურის არაყი № 101.**

**პურის არაყი № 50.**

**ღ ვ ი ნ ი ს** და

**კახური არაყი, რომელიც არ დაუარდება კანიაკ.**

**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ.**

(10—გ.—7)

### ფეხსაცმელების მაღაზია

### კ. ოგანიანცისა შვ-ით

(ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს ძ ე გ ლ თ ა ნ).

ყოველ დღე მაღაზიას მოსდის ● **საუკეთესო ფეხსაცმელი,** ● კოხტა და მოდის ფასონებისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთი ფაბრიკებისა.

**ფეხსაცმლის** მრავლად გასავრცელებლად პატივცემულ საზოგადოებაში და ამ საზოგადოების გულის მოსაგებად

### დაინიშნა სულ მცირე ფასები,

რაშიაც ვთხოვთ ყველას, თითონ დარწმუნდეს.

ვურჩევთ მუშტარს განსაკუთრებულ **მკვიდრ ფეხსაცმელს** მოსწავლეთათვის.

**დიდ ძალი სამგზავრო საქონელია მაღაზიაში.**

(1—ხალ.—1) პატივისცემით **კ. ოგანიანცი შვ ით.**

### „პოლეროიალის“ ნომრები

გადავიდა ახალ მოიჯარადრების ხელში. ნომრები ქირავდება როგორც დღიურად, ისე თვიურად. შეიძლება გაქირავება ფაეჯოთაც. (162 3—1)

### ი ყ ი დ ე ბ ა

შეღავათიანის პირობებით მიწის ნაჭრები დიდუბეში, დიდუბის, შერემეტევის, ფოთისა და ანდრეევის ქუჩებზე და რკ. გზ. ლიანდაგს იქით, ავჭალის ქუჩაზე, აგრეთვე მე-9 ნაწილში, ლიანდაგის ორივე მხარეს, სომეხ. ნერსესიან სემინარიის ახალ შენობის გვერდით. იკითხეთ სახლის პატრონთან—მიხეილის პროს., N 91.

(3—1039—2)

### ძმ. ავსარქისოვების ბაღი

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—11)

**იბეჭდება და მარტის პირველ რიცხვში დაურიგდება ხელის მომწერლებს მესამე ნომერი ჟურნალ**

### „ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ა“

**შემდეგის შინაარსით:** 1. ვ. რუსაკოვი. **ბავშვის სიცილი,** მისი პსიხოლოგიური, პედაგოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობა **ლ. ბოცვაძისა.** 2. სწავლა აღზრდის საქმე ძველ საქართველოში X—XIII საუკ. **სამ. ცომაიასი.** 3. ახალი მიმართულება პედაგოგიაში **ლ. გ—ძისა.** 4. ბუნების მეტყველება და ისტორია **ს. ავალიანისა.** 5. გადარჯულებული (ლექსი) **აკაკისა.** 6. პიწნანელ მასწავლებლის დღიური (სენკევიჩიდან) **თ. მაგმაძისა.** 7. სიმღერა (ლექსი) **ვაჟა-ფშაველასი.** 8. სულა და ღმერთები (სპარსული ლეგენდა) **გაჩანასი.** 9. რუსული ენის პროგრამა ქართ. სახალხო სკოლებისათვის, განმარტებით. 10. უცხო ენების ადრე სწავლება (სიმღნოვიჩისა). 11. პედაგოგიის ისტორია გერმანულიდამ (გაიმერისა) **ნ. ლორთქიფანიძისა.** 12. გეოგრაფიული სახელების ახსნა **პროფ. ალ. ხახანაშვილისა.** 13. შინაური მიმოხილვა Ratti-სა. 14. მარიამ დემურია და მელ. ჩოგოვაძე (ნეკროლოგები). 15. სახალხო სამკითხველოები გერმანიაში. 16. სასკოლო საკითხები საფრანგეთში. 17. ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის არსებობა. 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. სოფლის მასწავლებელთათვის ორი მანეთი.**

მ ი ს ა მ ა რ თ ი: Тифлисъ. Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

P. S. რედაქცია ამით აცხადებს, რომ **დავით პავლიაშვილთან,** როგორც აგენტთან მას დღ ეის შემდეგ არავითარი კავშირი არ აქვს.

### სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლდ-უგურული“ ქუთაისში.

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—28)

### პროვოდნიკის

1897 წ. ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА 1908 წ. ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА 1888

### ამხანაგობა

### რ ი გ ა შ ი

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●

**რეზინის, კანაფის და სხვა შლები სხვა და სხვა საქმისთვის,**

**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**

**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**

**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**

**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**

**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**

**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**

**საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას**

მოდიდან გამოსულ საქონელს დაკლებული აქვს მანეთზე 75%-მდე.

### ✕✕✕ უდიდესი იაფობა ✕✕✕

# პ. ს. დოროშენოვი

**სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, ტელეფონი № 583.**

მოდიდან გამოსულ საქონელს დაკლებული აქვს მანეთზე 75%-მდე.

ყოველ წლიურად შემოღებულ წესზე, საზამთრო სეზონის გათავების შემდეგ, დაინიშნა ჩვეულებრივი სადიდმარხვო

## უ დ ი დ ე ს ი ი ა ფ ო ბ ა

### 12 დღეს, ესე იგი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 12 და 13 მარტს.

ამ უდიდეს იაფობისთვის ცხრა სპეციალურ განყოფილებაში იქნება 300,000 მანეთის საქონელი, რომელიც გაიყიდება საოცრად იაფად, ხოლო ზოგიერთ საქონელს, რომელიც ვიტრინებში იყო გამოფენილი და რომელიც მოდიდან გამოვიდა, დააკლდება 75%-მდე.

ვურჩევთ მუშტარს, ყურადღება მიაქციოს ფასების შემდეგ სიაფეს ზოგიერთ საქონელზე:

### მ ე ტ ა დ ი ა ფ ი ფ ა ს ე ბ ი

| | |
|---|---|
| ნანსუკი მეტად მკვიდრი ყოველგვარ საცვლისთვის, არშინი | $10^1/_2$ კ.-დან. |
| მოდეპალამ საცვლისთვის დიდი ღირსებისა, მეტად მკვიდრი, არშინი | 14 კ.-დან. |
| დეკოსი წმინდა ყოველგვარ საცვლისთვის 30 არშინიანი, ცალი | 3 მ. 75 კ.-დან. |
| ტიროლის ტილო, მეტად მკვიდრი, მშვენიერი ნაქსოვი, არშინი | 14 კ.-დან. |
| ტილო ზეწრისა სლავიანური ერთი საწოლისთვის, არშინი | 34 კ.-დან. |
| ტილო საცვლისთვის წმინდა სელისა, მაღალი ღირსებისა, არშინი | 24 კ.-დან. |
| ტილო წმინდა სელისა ზეწრებისთვის, მეტად მკვიდრი, არშინი | 41 კ.-დან. |
| ტილო სქელი ყოველგვარ პირსახოცებისთვის, არშინი | 7 კ.-დან. |
| სალფეტკები სასადილო წმინდა სელისა, დუჟინი | 2 მ. 30 კ.-დან. |
| ცხვირსახოცები თხელ კემბრიკისა, დიუჟინი | 65 კ.-დან. |
| პერანგები ღამისა კაცისათვის მოდეპოლამისა, ცალი | 1 მ.-დან. |
| პერანგის ამხანაგები კაცისთვის სპეციალიურ მკვიდრ ქსოვილისა, ცალი | 85 კ.-დან. |
| გალსტუხები, წინა სეზონებიდან დარჩენილი, ცალი | 5 კ.-დან. |
| პერანგები ქალისთვის კემბრიკისა მორთულობით, ცალი | 75 კ.-დან. |
| პერანგების ამხანაგები ქალებისთვის დეკოსისა, მეტად მკვიდრი, ცალი | 75 კ.-დან. |

| | |
|---|---|
| კოფტები ქალისა წმინდა შერტინგისა მორთულობით, ცალი | 95 კ.-დან. |
| იუბკები ქვედა მუარისა სხვა და სხვა ფერისა, ცალი | 1 მ. 25 კ.-დან. |
| იუბკები ზედა ტრიკოს მატერიებისა, ცალი | 3 მ.-დან. |
| ფულიარი აბრეშუმისა სარპინკი, სურათებიანი, არშ. | 24 კ.-დან. |
| კოფტები აბრეშუმისა და აბრეშუმ ნარევის ქსოვილებისა, კუპონებათ, კუპონი | 1 მ. 25 კ.-დან. |
| შალის მატერიები ტანისამოსისთვის ფასონზე გაკეთებული, არშ. | 45 კ.-დან. |
| შოტლანკები შალისა, განიერი, სურათებიანი, არშ. | 55 კ.-დან. |
| შალის მატერიები ჰანამა ქალის ტანისამოსისთვის, არშ. | 65 კაპ. |
| შალის მატერიები კოფტებისთვის სხვა და სხვანაირი, ყოველგვარ ფერისა, არშ. | 45 კ.-დან. |
| სარპინკა სარატოვისა, ხელით ნაქსოვი, არშ. | 10 კ.-დან. |
| ქსოვილი განიერი, მეტად მკვიდრი, ძალიან ლამაზი, არშ. | 14 კ.-დან. |
| ფულიარი და მუსლინი, სხვა და სხვა ფერისა, არშ. | $10^1/_2$ კ.-დან. |
| ტილო და ოკსფორდი, მეტად მკვიდრი ქსოვილი, არშ. | 16 კ.-დან. |
| ტუალ-საკი, გროს-ტუალი, არაბი, ბეუსი და გარუსი, პრაქტიკული ქსოვილები, ქალების ტანისამოსისთვის არშ. | 18 კ.-დან. |
| ტილო სელისა ქალის ტანისამოსისთვის, არშ. | 30 კ.-დან. |

ყველა ცხრა განყოფილებაში არის გასასყიდად 75,000 ცალი ნაჭერი და კუპონი მაუდისა, აბრეშუმისა, შალისა, ტილოსი, ბამბაზიასი და სხვა საქონლისა, რომელიც გაიყიდება მეტად იაფად. არის აგრეთვე აუარებელი საქონელი, დარჩენილი წინა სეზონებიდან და გამოსული მოდიდან, რომელიც გამოფენილი იყო ფანჯრებში. ამ უკანასკნელ საქონელს დააკლდება 75%.

ფანჯრების ვიტრინებში გამოფენილია საქონელი ყველა განყოფილებიდან და ზედ აღნიშნულია იაფი ფასები.

**დამზადებულ საცვლის** განყოფილებაში ამ სეზონიდან ხელ-ახლა იქნება შემოღებული **ქ ო ლ გ ე ბ ი** კაცისა, რომელიც **მიღებულია მრავლად.**

იაფობის დროს ვაჭრობა მოხდება დილის $9^1/_2$ საათიდან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდე და ნაშუადღევს 4 საათიდან $6^1/_2$ საათამდე.

P. S. საქონელი იაფ სავაჭროდან ფას-დადებით არ იგზავნება. მომავალ სეზონისთვის ყველა სპეციალურ განყოფილებისთვის მოდის დიდ-ძალი სასეზონო საქონელი. ქალაქ გარეთელ მყიდველებს უფასოდ გაეგზავნებათ ნიმუშები.

(1—ხალ.—1) პ. ს. დ ო რ ო შ ე ნ ო ვ ი.


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. ალაძე.